

საჯარო პოლიტიკა

ტრადიციული იურისპუდენციის მიღმა
მაკასიდური მიდგომა

PUBLIC POLICY

BEYOND TRADITIONAL JURISPRUDENCE

A Maqasid Approach

Basma I. Abdelgafar

იასი-ს წიგნების სერია

საჯარო პოლიტიკა
ტრადიციული იურისპრუდენციის მიღმა

*

მაკასიდური მიდგომა

ბასმა ი. აბდელგაფარი



International Institute
of Islamic Thought



გამომცემლობა „პენსარე“
თბილისი 2022

საჯარო კოლექტივა
ტრადიციული იშრისკრუჟენციის მიღმა
მაკასიდური მიღბომა (Georgian)
ბასმა ი. აბდეგაფარი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.
1444ჰ/2022

Paperback ISBN: 978-9941-33-281-4

**Public Policy: Beyond Traditional Jurisprudence
A Maqasid Approach (Georgian)**

Basma I. Abdelgafar
IIIT Books-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1439AH/2018CE

Paperback ISBN: 978-1-56564-383-3

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: როლანდ შავაძემ

თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე

ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
ვასლა A-508

ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით

სავაჭრო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე. წინამდებარე ნაშრომში გამო-
ხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ემთხვეო-
დეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ს ა რ ჩ ე ვ ო

შინაარსი

წინათქმა.....

შესავალი

I წინასიტყვაობა.....

1) საჯარო პოლიტიკა ისლამში: მაკასიდური მიდგომა

2) მუსლიმები და მმართველობის დილემები

II საჯარო პოლიტიკა ისლამში: დისციპლინის**მდგომარეობა**

3) მაკასიდური სწავლების ისტორიული ფესვები.....

4) ახალი დისციპლინის დამყარების გამოწვევები.....

III უფლებები და ეთიკა.....5) ადამიანის უფლებები, როგორც მმართველი
მაკასიდის მაკავშირებელი6) მმართველობის ეთიკა და საჯარო პოლიტიკა
ისლამშიIV წარსულის გაკვეთილები და სამომავლო
შესაძლებლობანი7) საჯარო პოლიტიკა ისლამში, როგორც
რეფორმებისა და განახლების პროცესი

შენიშვნები

ბიბლიოგრაფია

წინასიტყვა

რეალობა ცხადყოფს, რომ მუსლიმური მთავრობების ფართო ფისკალური და მარეგულირებელი ძალებით დღეს არ არის აღმოფხვნილი მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომელთაც მძაფრად განიცდის მუსლიმ საზოგადოებათა უმრავლესობა. წარმატებული მმართველობის ფუძემდებლურ ასპექტს, რომელიც ფართოდ ცნობილია, როგორც საქმეთა მიუკერძოებელი მართვა მოქალაქეთა სასარგებლოდ, წარმოადგენს საჯარო პოლიტიკა და გადანყვეტილებათა მიღების პროცესში დემოკრატიით ხელმძღვანელობა. რა როლი ეკისრება „მაკასიდ აშ-შარბ‘ას“ ყოველივე ამაში?

ნებისმიერი სახის მთავრობას შეუძლია მხოლოდ მთელი რიგი ვარაუდების საფუძველზე იმოქმედოს. „მაკასიდ აშ-შარბ‘ა“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასში. იგი წინამძღოლის ფუნქციას ითავსებს და ადგენს იმ ჩარჩოს, რომლის შიგნითაც განისაზღვრება ამოსავალი დებულებები თუ ვარაუდები, მიზნები და მოქმედებები, რათა გაუმჯობესდეს მთავრობის ფუნქციონირება, აღმოიფხვრას კორუფცია და მოქალაქეები უზრუნველყოფილნი იყვნენ ყველაზე მიუკერძოებელი, თანასწორი მომსახურებით. შესაბამისად, „მაკასიდ აშ-შარბ‘ას“ შერწყმა საჯარო პოლიტიკასთან აწესებს საზღვრებს,

ხაზს უსვამს პასუხისმგებლობებს, ადგენს პრიორიტეტებს და, საერთო ჯამში, ღვთიურ პერსპექტივას სახავეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განსაზღვროს მთავრობამ პოლიტიკა. მაგალითად, „შურა“ წარმოადგენს ამის შესაბამის მნიშვნელოვან პოსტულატს დემოკრატიული ხმის უფლების მინიჭების თვალსაზრისით რიგითი ადამიანებისთვის, რომელთა ცხოვრების ხარისხზეც, ყოველდღიურად, უშუალოდ ახდენს გავლენას მათი ჩართულობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები.

ამ წიგნის თავებში განხილულია მაკასიდური კვლევების წვლილი ისლამურ საჯარო პოლიტიკაში. თითოეული თავი სპეციფიკურ თემას ეხება და ერთობლივად ისინი კვლევის ამ სფეროში შესავალს ქმნიან. უდავოა, რომ წარმოდგენილი იდეები შემდგომ დახვეწას მოითხოვს. პოლიტიკა და მმართველობა უკიდურესად კომპლექსური საკითხებია. დისციპლინის წარმოშობა შეუძლებელია საქმისადმი თავდადებულ მკვლევართა მნიშვნელოვანი რაოდენობის გარეშე, რომელთაც შეუძლიათ და სურთ ეპოქალური ნაშრომების შექმნა მისი საფუძვლების ჩამოსაყალიბებლად. ავტორი, მსოფლიოში მოგზაურობის შემდგომ, დარწმუნდა, რომ „მაკასიდ აშ-შარბ'ას“ პოტენციალის მიმართ ამ წამოწყების ხელშესაწყობად ძლიერი და მზარდი ინტერესი არსებობს.

ისლამური კალენდრის (ჰიჯრა) მიხედვით დასახელებული თარიღები აღნიშნულია „ჰ“-თი. სხვა შემთხვევაში, თარიღები მისდევს გრიგორიანულ კალენდარს და საჭიროების შემთხვევაში, ახ. წ.-ით აღინიშნება. იმ სიტყვების გარდა, რომლებიც საყოველთაოდ გამოიყენება, არაბული სიტყვები დახრილი შრიფტით წერია. დიაკრი-

ტიკული ნიშნები დამატებულია მხოლოდ იმ არაბულ სახელწოდებებზე, რომლებიც თანამედროვედ არ მიიჩნევა.

1981 წლიდან, ანუ დაფუძნების შემდგომ, ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი IIIT (იასი) წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ცენტრს. ამ მიზნით, გასული ათწლეულების მანძილზე, განხორციელებულია მრავალი კვლევითი პროგრამა, ჩატარებულია სემინარი და კონფერენცია. ცენტრი ასევე აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს სოციალურ მეცნიერებებსა და თეოლოგიის სფეროებში, რომელთა ამჟამინდელი რიცხვიც ექვსას ინგლისურ და არაბულ ნაშრომს აღემატება. მათი დიდი ნაწილი ნათარგმნია სხვა მნიშვნელოვან ენებზეც.

მადლობას ვუხდით ავტორს, ასევე „იასის“ ლონდონის ოფისის საგამომცემლო და სასტამბო გუნდს და ყველა იმ პირს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იყო ამ წიგნზე მუშაობის პროცესში. დაე, ღმერთმა სიკეთით გადაუხადოს მათ ამ ძალისხმევისთვის.

„იასი-ს“ საგამომცემლო და მთარგმნელობითი დე-
პარტამენტი
ივნისი, 2018 წელი

შმსაგალი

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს შვიდი თავისგან შემდგარ კრებულს, რომელშიც განხილულია „მაკასიდის“ მეცნიერების წვლილი ისლამური საჯარო პოლიტიკის საკვანძო საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ თავების დაკავშირებელი საერთო თემატიკა, თითოეული მათგანი მაინც დამოუკიდებელ არგუმენტს წარმოგვიდგენს და შეიძლება სხვა თავებისგან ცალკეც იქნას წაკითხული. ამ ძალისხმევის მთავარი მოტივაცია ორგვარი იყო: პირველ რიგში, მსურდა, მეჩვენებინა, რომ „მაკასიდური“¹ მიდგომა უპირობოდ აუცილებელია ისლამური საჯარო პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკისთვის. ანუ ნათელია, რომ დისციპლინა ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია, რომელსაც კვლავაც ესაჭიროება ყველა რელევანტურ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კონტრიბუცია. გარდა ამისა, მსურდა, დამეწერა პოლიტიკის, მაგრამ არა პოლიტიკური მეცნიერების პერსპექტივის მიხედვით. სწორედ ეს უკანასკნელი აერთიანებს ისლამის სწავლულების ნაშრომების დიდ უმრავლესობას, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართულნი ისლამურ იურისპრუდენციაში. შესაბამი-

1. სიტყვა მაკასიდის მნიშვნელობაში მცირე ვარიაციები არსებობს, რომლის გამოყენებაც დამოკიდებულია ტერმინის კონტექსტზე არაბულში, ან მაგფო დეფინიციაზე, რომელსაც სხვადასხვა მეცნიერი გამოხატავს. ზოგადად, მაკასიდი ყველა ამ მნიშვნელობას მოიცავს.

სად, დიდი სიცარიელე რჩება პოლიტიკის კვლევების მიმართულებით.

საჯარო პოლიტიკა ისლამში თვისობრივად განსხვავებული საქმეა მეცნიერების, სტუდენტებისა და პრაქტიკოსებისთვისაც, იმის მიუხედავად, იქნებიან თუ არა ისინი სამართალმცოდნეობის („ფიკჰ“) თუ შარიათზე ორიენტირებული პოლიტიკის („სიჰნსა აშ-შარჰ‘ა“) წარმომადგენლები. ყურანში კონკრეტული პოლიტიკური სისტემისთვის უპირატესობის მინიჭების არარსებობის გამო, მაგალითად, მოწოდებად მიიჩნევა იმაზე ფოკუსირება, თუ რას ვაკეთებთ ინსტიტუციების შიგნით და მათი საშუალებით, რაც შეპირაბებულია ფაქტობრივ შემუშავებასთან ან რელიგიურ იდენტობებსა და ხელმძღვანელობის მოტივაციასთან. „შურჰ“, ანუ გადანყვეტილების კოლექტიურად მიღების მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების ვალდებულება კრიტერიუმებს უდგენს იმ ინსტიტუციებს, რომლებიც საჯარო პოლიტიკას ახორციელებენ, რაც შეესატყვისება ისლამურ პროცედურებსა და მის არსს, თუმცა, საბოლოო, დასკვნითი ფორმის შესახებ მითითებებს არ იძლევა. „შურჰს“ თანამონაწილეობაზე დაფუძნებული ბუნება ხაზს უსვამს დარწმუნების როლს ისლამური მმართველობის პროცესებში. საჯარო პოლიტიკა აუცილებლად უნდა იყოს ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობის სფერო. იგი ასევე უნდა ესწრაფოდეს ფართო საზოგადოებაზე ზრუნვას, რომელსაც ერთიანობაში ეხება პოლიტიკის განხორციელების შედეგები. ეს მიდგომა დადებითად არ აღიქვამს „შეუზღუდავი ინტერესების“ (ალ-მასჰალიჰ ალ-მურსალა) შარიათზე ორიენტირებულ პოლიტიკასა თუ

იურისპრუდენციის მბრძანებლური სტილის მიდგომას, რომლის დროსაც ბრძანებულებათა გამოცემა ჩვეულებრივი მოვლენაა.

ყოველივე ამის ფონზე, საჯარო პოლიტიკა ისლამში არც წმინდა ხელოვნებას წარმოადგენს და არც წმინდა მეცნიერებას, არამედ ორივეს ელემენტებს შეიცავს. მისი ხელოვნება და ხელობა მდგომარეობს უნარში, რომ ამოიცნოს, შეიმუშაოს და წარმოადგინოს ალტერნატივები, რაც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს ამა თუ იმ ქმედებისთვის კონკრეტული მიმართულების არჩევის საჭიროებაში დაარწმუნებს. იგი მეცნიერებაა იმდენად, რამდენადაც ემყარება ყურანისა და სუნას პირველად წყაროებში არსებულ ცოდნის კორპუსს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცოდნა სისტემური სახით არ არის წარმოდგენილი, ძლიერი, მყარი სისტემების შესაქმნელად საჭირო ელემენტები ხელმისაწვდომია იმ ფორმით, რომელიც საშუალებას აძლევს მომდევნო თაობებს შემხვედრი გამოწვევების ეფექტურად გამკლავებისთვის ამ ელემენტებს დაეყრდნონ. ეს ხაზს უსვამს ისლამური პოლიტიკის კვლევების რელევანტობის პრინციპს. განცხადებული და დაფარული სიტყვის ინტეგრირებული და მიზნობრივი ნაკითხვა გამიზნულია ინდივიდებისა და უფრო დიდი სოციალური ერთობების იმ ცოდნით აღჭურვისთვის, რომელსაც ისინი შეიძლება დაუეფლონ და გამოიყენონ არსებული პრობლემების გასაგებად და მათთან გამკლავებისთვის.

„მაკასიდ აშ-შარბ'ასა“ თუ საღვთო კანონის მიზნებთან დაკავშირებული კვლევები აუცილებელ კონტრიბუციას წარმოადგენს ამ მიზნის მისაღწევად. მაკასიდ-

თან დაკავშირებული კვლევები სხვა ისლამური მიდგომებისგან, კერძოდ, ტრადიციული იურისპრუდენციისაგან, გამოირჩევა მიზანსწრაფულობაზე, ფასეულ პრინციპებსა და პრიორიტეტებზე, ასევე მულტიდისციპლინარულობასა და მეთოდების მრავალფეროვნებაზე აქცენტირებით. მთელი რიგი გამოჩენილი თანამედროვე სწავლულების მიერ ამ მიდგომის აღორძინება წარმოადგენს ექვსი სხვადასხვა მცდელობას: (1) შარიათის განცალკევება იმ იურისტების ახირებებისგან, რომელთა სამართლებრივი ბრძანებულებები უგულებელყოფენ საღვთო კანონის მაღალ დანიშნულებას - მონყალების, თანასწორობის, სიბრძნისა და კეთილდღეობის ჩათვლით, ისე როგორც იმ პოლიტიკურ ქმედებებს, რომელთაც ეს ყოველივე კიდევ უფრო მეტი ჩაგვრისა და კორუფციისკენ მიჰყავთ; (2) უარყოფა თანამედროვე და დიდწილად სეკულარული, თუმცა ასევე მუსლიმური მტკიცებებისა, რომ ისლამი არის არქაული, უსამართლო და ძალადობაზე დამყარებული სარწმუნოებრივი სისტემა; (3) მოძიება იმის განმარტებებისა, თუ ზოგადად, რატომ არ ასახავს მუსლიმური თემების საქმეები ადამიანური ღირსების საღვთო მიწერილობას; (4) ალტერნატივის შემოთავაზება იმ იურიდიული ახლომხედველობისთვის, რომელიც დომინირებს მუსლიმურ და დანარჩენ სამყაროში ისლამის აღორძინებასთან მიმართებით ტრადიციულ დისკურსში; (5) სხვა დისციპლინათა მკვლევარების აღჭურვა გასაღებით ისლამური კვლევების მათ შესაბამის სფეროებში ჩართვისთვის და მორწმუნისთვის საშუალების მიცემა, დაუბრუნდეს საკუთარი ზნეობისა და ღირებულებების თანდაყოლილ არსს; (6) „უმმა“-ს ხელახალი გაერ-

თიანებისათვის კრიტერიუმების წარმოდგენა.

ამ წამოწყების ვრცელი არეალი და საზოგადოების ფართო სპექტრისათვის მისი გაცნობის სურვილი გავლენას ახდენს ენის ბუნებაზე, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას იდეების გამოსათქმელად, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკის მეცნიერებათა თვალსაჩინო ნიშან-თვისება ფართოდ გამოყენებული პროფესიონალური ენის არარსებობაა. ეს უფრო მკაფიოდაა გამოხატული ამ ნაშრომში, რომელიც ესწრაფვის „მაკასიდური“ კვლევების ინტეგრირებას პოლიტიკასთან და უფრო მეტიც, აღიარებს და პატივს სცემს რწმენის დინამიურობას ამ წამოწყებაში. „ფიკჰის“ (ისლამური სამართალმცოდნეობის) პროფესიონალიზაციას „უსულ ალ-ფიკჰის“ (ფიკჰის საფუძვლების) საშუალებით თან ერთვის პროფესიული ენის განვითარება, რომელიც არაექსპერტთა დიდი ნაწილისთვის რთულად აღსაქმელია. იგივე შეიძლება ითქვას „სიფსა აშ-შარჩ'ას“ (შარიათის პოლიტიკა) სფეროზეც. გარდა იმისა, რომ რელიგიურ-სამართლებრივი კვლევების სფერო დისციპლინის მიღმა მყოფთათვის დიდწილად დახურულია, იგი ასევე ახალი ტერმინოლოგიის ჩართვასაც რთულად თუ ეგუება. როდესაც გამოჩენილი სწავლულები საუბრობენ, ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან, ურთიერთობენ და თითოეული ცდილობს სხვის დარწმუნებას უმნიშვნელო ცვლილებების აუცილებლობაში. ზოგადად, მათი ნუხილი ვრცელ სამართლებრივ მემკვიდრეობაზე გადანონის ნუხილს დღევანდელი საჯარო ინტერესებისა თუ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ეს კი პოლიტიკის კვლევებში მიუღებელია; არ ასახავს მის თეორიასა და პრაქტიკას ყურანსა და სუნაში.

მაშასადამე, ამ ნაშრომის წარდგენისას, ჩემი უმთავრესი საზრუნავი მისი ხელმისაწვდომობაა.

გარდა ამისა, წინამდებარე ნაშრომი, ყურანის ხელმისაწვდომი ინგლისური თარგმანების ინტენსიურად ასახვას საჭიროებს. ნებისმიერი ნათარგმნი ნაშრომი აუცილებლად ექვემდებარება ინტეგრეტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაზე ყურანის რამდენიმე აღიარებული თარგმანი არსებობს, ბევრი მათგანი მაინც ვერ წვდება ზოგიერთი საკვანძო არაბული სიტყვის არსსა და მათ მნიშვნელობას. მივანიჭე რა მნიშვნელობა სწორ გაგებას და ყურანის აზრობრივ თარგმანს ამ სახის პროექტისთვის, მე ყურანის აიები თავად ვთარგმნე.²

ვიმედოვნებ, რომ სიმარტივის მიუხედავად, ეს ნაშრომი ყველა იმ ინდივიდსა და ჯგუფს გამოადგება, რომელთაც აინტერესებთ, თუ რა პოზიცია უკავია ისლამს საკვანძო საჯარო საკითხებთან დაკავშირებით. ამ წიგნის თავები ფართომასშტაბიან საკითხებზე უფროა ფოკუსირებული, ვიდრე - მცირემასშტაბიანზე. ამა თუ იმ კონკრეტული პოლიტიკის სფეროთა განხილვა მომავლის კვლევების საქმეა. წიგნის თავებში ურთიერთდაკავშირებული იდეები, საჯარო პოლიტიკასა და მმართველობაში მაკასიდური მიდგომის გამოყენების შესახებ იმგვარადაა მოცემული, რომ ჩვენ შეგვიძლია სხვების მოსაზრებებ-

2. . წინამდებარე წიგნი თარგმნილია ინგლისური ენიდან, აღნიშნული პრობლემა არაბული სიტყვების არსისა და მათ მნიშვნელობის ქართულად გადმოტანასთან დაკავშირებითაც თითქმის იდენტურია. ყურანის აიათები თარგმნილია ჩვენს (ტ. ნაკაიძე) მიერ არაბული ენიდან, ან გამოყენებულია რეზო მიქელაძის თარგმანი (რედაქტორისგან-ტ. ნაკაიძე))

საც გავეცნოთ. დაახლოებით თოთხმეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც შუამავალმა მუჰამადმა (ს.ა.ს)³ თქვა: “სისწორეს მივყავართ ჭეშმარიტებისკენ (ალბირრ), ხოლო ჭეშმარიტება სამოთხისკენ მიგვიძღვის.” საჯარო პოლიტიკის სფერო და ისლამში მისი განხორციელება (რაც წარმოადგენს მოქმედებისა თუ უმოქმედობის კურსს, განხორციელებულს საჯარო დაწესებულებ(ებ)ის მიერ, საჯარო პრობლემის გადასაჭრელად) და სიმართლე არის ყურანით მინიჭებული წმინდა ვალი მუსლიმისთვის, რომელიც ბარომეტრის ფუნქციას ასრულებს.

ბასმა ი. აბდელგაფარი
2018 წლის მარტი

³صلى الله عليه و سلم: (სალონ ლონჰუ ‘ალაჰი ვა სალლამ) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როდესაც წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამადი“ იქნება ნახსენები

წინასიტყვაობა

I

საჯარო პოლიტიკა ისლამში: მაკასიდური მიდგომა

... ღმერთმა საბაზისო, ფუძემდებლური პრინციპები ზეგარდმოავლინა. ამ პრინციპების ახსნა და გამოყენება კი, ადამიანების მენტალური და ინტელექტუალური დედუქციის და რაციონალიზაციის უნარს, ასევე სიბრძნეს მიანდო. ხალხის პასუხისმგებლობაა, გადანყვიტოს, თუ როგორ გამოიყენებს საღვთო გამოცხადებას ადამიანთა საზოგადოების საქროებებისა და ინტერესების სასარგებლოდ.

შეიხ მუჰამმად ალ-ლაზალი

წინამდებარე კრებულის მიზანი ისლამში საჯარო პოლიტიკისა და მაკასიდური მიდგომის გაგების წარმოდგენაა შესავლის სახით, რომლითაც ყველამ, ვინც ისლამს იმონმებს, უნდა იხელმძღვანელოს. საჯარო პოლიტიკა ის ინსტრუმენტია, რომელიც საჯარო პრობლემების მოგვარების მიზნით ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტივობებისა თუ პასიურობის კურსს განსაზღვრავს. როდესაც ვაფასებთ ამ განმარტებას — “ისლამში”, ჩვენ

გვევალება კრიტერიუმის შემოთავაზება, რომლებიც ამ დისციპლინას მთავარი კოლეგა-მონაცვლისაგან განასხვავებს. ამგვარად, საჯარო პოლიტიკა ისლამში შემდეგნაირად განიმარტება: საჯარო სახელისუფლებო ორგანოს ან ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებათა ან უმოქმედობათა საერთო მიმართულება, რომელიც გამოიყენება საჯარო პრობლემისა თუ გამოწვევის გადასაჭრელად, ან კიდევ სარგებლობს იმ შესაძლებლობით, რომელიც (1) მოწმდება ყურანში განმარტებული მორალისა და ეთიკის საფუძველზე, რაც განცხადებულია ღვთისმოშიშობასა (თაკვა) და თავჭიდში (ერთადერთი ღმერთის რწმენა); (2) გამართლებულია მაღალი მიზნებითა და ამოცანებით ანუ „მაკასიდ აშ-შარბ'ათის“; ხელმძღვანელობით (3) გადანყვეტილების ერთობლივი მიღების პროცესებით ანუ „შურათი“ და (4) შედეგად მოაქვს რეფორმები და გაუმჯობესება, ანუ „იკლჰჰ“. „მაკასიდ“, ანუ საღვთო კანონის მიზნები შესაძლოა მოვიაზროთ, როგორც პოლიტიკის მიზნების განსაზღვრისა და პროცესების, მმართველობის არსის ფარგლების დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები. მმართველობა ისლამში წარმოადგენს სერიოზულ პასუხისმგებლობას, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდებზე, სხვა ცოცხალ არსებებზე, საზოგადოებებსა და ადამიანების ერთობლივ კეთილდღეობაზე. მისი მნიშვნელობა შესაძლებლობას იძლევა, გადავხედოთ ისლამში პოლიტიკისა და პოლიტიკური კვლევების ჰეგემონურ გავლენას ტრადიციულ იურისპრუდენციაზე, რასაც პრობლემატური მნიშვნელობა აქვს საჯარო უწყებებისა და მოქალაქეების მხრივ უმეტესწილად მუსლიმ და ასევე არამუსლიმ საზოგადოებაში.

ამ წამოწყების განსხვავებული რელიგიურ-სამართლებრივი დომინირება წარმოადგენს ხელისშემშლელ და განხეთქილების გამომწვევ ძალას ისლამურ სამყაროში, ისლამურ თემებსა და სხვებს შორის. სიხისტე და სამართლებრივი ამპარტავნება, რწმენის დაცვის თვითგამოცხადებულ პრეტენზიასთან ერთად, განაპირობებს მმართველობას სამი ურთიერთდაახლოებული წარმომადგენლობის მიერ. ესენია: სამთავრობო ორგანოები, იურისტები და სწავლულები, ასევე საკუთრივ მუსლიმური აზროვნება. ეს ყოველივე მცირე ადგილს თუ ტოვებს მრავალფეროვნების, დარწმუნების, მიზნის კოლექტიურად განსაზღვრისა და გადანყვეტილების მიღებისთვის. მაშასადამე, ისლამურ ინიციატივათა შესაძლო კონტრიბუცია პოლიტიკასთან დაკავშირებული იდეებისა და ალტერნატივების კონკურენტულ ბაზარზე დიდწილად შეზღუდულია. საჯარო პრობლემები აღიქმება სამართლებრივ საკითხებად, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია ისლამური იურისპუდენციით („ფიკჰ“) და მისი საფუძვლებით (უსულ ალ-ფიკჰ), ერთი ან მეტი ტრადიციული სამართლებრივი სკოლის მიხედვით. ის, რაც შეიძლება უშუალოდ მკაფიო დადგენილებებიდან (*აჰქჰმ*) არ მომდინარეობდეს, გადამისამართებულია შეუზღუდავი ინტერესების სფეროში (*ალ-მასალიჰ ალ-მურსალა*), რომლის შედეგიც ხდება ისლამურ სამართალზე (შარიათზე) ორიენტირებული პოლიტიკა. კვლევის, მიზნობრიობისა და დინამიზმის ამ სფეროთა მეშვეობით, გზაა დათმობილი ისეთი სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობისთვის, რომელიც წარმოადგენს ისლამური მორალის, მიზნებისა და პლურალიზმის უსამართლო და აშკარა დარღვევას.

ეს სამართლებრივი აპარტავნება დიდნილად დღესაც არსებობს იმ პიროვნებათა და ორგანიზაციათა სახით, რომლებიც იჩემებენ ისლამის წარმომადგენლობას მსოფლიოს მასშტაბით მთავარ მუსლიმურ თემებში. მაგრამ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, მნიშვნელოვანი ნაშრომები და კრიტიკული ნააზრევი შეიქმნა ტრადიციული კვლევების სიმყარესა და უნივერსალურობასთან დაკავშირებით, თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობის წინსვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საქმეზე მისი გამოსადეგობის განვრცობით. თუმცა, ისლამური ინტელექტუალური მემკვიდრეობის დიდი ნაწილი, სახელდობრ მაკასიდური მიდგომა, ისლამური იურისპრუდენციის სფეროში გარღვევად მიიჩნევა. იგი გვთავაზობს სხვა თანამედროვე დისციპლინათა შორის პოლიტიკის კვლევების სამოქმედო გეგმას. გამჭრიახმა მუსლიმმა სწავლულებმა დაიწყეს მაკასიდური მიდგომის როლის ხაზგასმა, რომელიც მას შეუძლია მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის საკითხებში, იმავდროულად კი კვლავაც აცნობიერებდნენ ტრადიციული იურისპრუდენციის ძალასა და რელიგიური ორგანიზაციის გავლენას მმართველობის საკითხებზე. ჩვენ თანდათან ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა შევავსოთ რელიგიურ-სამართლებრივი მიდგომები უფრო ყოვლისმომცველი, მიზნობრივი, დინამიური და პრობლემების ანალიზის კომპლექსური სახეობებისა და გადაჭრის გზების შეთავაზებით ისლამის პირველადი წყაროების, ყურანისა და სუნას ერთგულების შენარჩუნებით.

ეს შესავალი თავი წარმოადგენს ჩემი ძალისხმევის უკან არსებულ ფონს. მისი მიზანი არ არის დანარჩენი თავების შეჯამება. სანაცვლოდ, იგი გადმოგვცემს ამბავს

რელიგიურ-სამართლებრივი მიდგომის საზღვრების შესახებ, რაც დომინირებს ისლამური მმართველობის კვლევებში; იმ გზების თაობაზე, რომლებითაც ეს საზღვრები უნდა შეფასდეს; მაკასიდის გამოწვევებისა და შემხვედრ სირთულეების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სხვა ნარატივებიც ვალიდური აღმოჩნდეს, არ მჯერა, რომ მის მიხედვით, სამართლიანობა მსოფლიოს მასშტაბით მუსლიმთა ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებში ხორციელდება და არც იმ შედეგების მწამს, რომლებიც რელიგიურ-სამართლებრივმა მიდგომამ და გაუმართლებელმა მოწინებამ მოიტანა, რაც, თავის მხრივ, დიდწილად ჩვენი წარსულის დამსახურებაა. ჯერ-ჯერობით მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის მხრივ ჩვენს ამჟამინდელ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით დამაჯერებელი განმარტება არ არსებობს.

შურა

დავინყებ ყველაზე თვალშისაცემი შტრიხებით, რომლებიც რელიგიურ-სამართლებრივ მიდგომას ახასიათებს პოლიტიკის მიმართ. ტრადიციების მიმდევარი ბევრი სახელგანთქმული იურისტის შეთანხმების მიუხედავად ყველა სფეროში „შურას“ მნიშვნელობასა და საჭიროებაზე, რომელიც ზოგადად გაგებულა, როგორც კონსულტაცია, მოთხოვნა, რომ ისლამური მმართველობა და პოლიტიკა ასეთ პროცესს დაექვემდებაროს, დიდწილად მაინც რიტორიკულად რჩება. ფაქტობრივად, „შურა“ კონსულტაციაზე გაცილებით მეტია. იგი გადანყვეტილების კოლექტიურად მიღების ღვთით კურთხეული პროცესია, რომ-

ლის მნიშვნელობაც ფუტკრების სამყაროსგან წარმოდგება. სიტყვასიტყვით „შურა“ ნიშნავს “თაფლის ამოღებას მისივე წყაროდან”, რაც მიუთითებს რეკომენდაციაზე, რომ გადანყვეტილების მიღების ნებისმიერი პროცესი და მისი შედეგები უნდა იყოს თვალსაჩინო და სარგებლის მომტანი, ე.ი. უნდა იწვევდეს გაუმჯობესებას (იხლ. 3).

ეს გზავნილი შესანიშნავად იყო გაცნობიერებული და გამოყენებული პირველი ხალიფას, აბუ ბაქრის მიერ, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ მმართველობა და უფრო ფართოდ, ხალხის საქმეები საჯარო ინტერესების გათვალისწინებითა და გადანყვეტილების კოლექტიურად მიღების გზით უნდა წარმართულიყო. ის აცნობიერებდა, რომ ყურანის მინერილობა „შურას“ პრაქტიკული გამოყენების შესახებ, გულისხმობდა საჯარო პრობლემებთან დაკავშირებით შემოქმედებითი გადანყვეტილებების შემუშავებას და უთანხმოების საკითხების გადასაჭრელად დაინტერესებულ მხარეთა ჩართვასა და საჯარო თანხმობის უზრუნველყოფას. აბუ ბაქრი ამტკიცებდა, რომ აზრთა სხვადასხვაობა საღვთო კანონის ან სუნას ნაწილს წარმოადგენდა და ზოგიერთი თვალსაზრისისთვის სხვებთან შედარებით პრიორიტეტის მინიჭება გადანყვეტილების კოლექტიურად მიღების („შურა“) პროცესის ბუნებრივი შედეგი იყო. ფათეების ანუ რელიგიური ბრძანებების გავრცელება, როგორც ამას იურისტები აკეთებენ, საჯარო პოლიტიკა და საჯარო საქმეები მოითხოვს გადანყვეტილების კოლექტიურად მიღების მტკიცე, ჯანსაღ სისტემის არსებობას. ამ პროცესის ისტორიულად უარყოფამ თუ გაუფასურებამ, მიუხედავად მისი აშკარა ყურანისეული საფუძვლისა, ზოგიერთი იურისტის, მეცნიერისა და პო-

ლიტიკური აქტივისტის მიერ კარგ მმართველობასთან დაკავშირებული ეს ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა და-ამახინჯა და მას სახე უცვალა. არ-რაისუნის მიხედვით, “ის ფუნქციები და მიზნები, რომელიც კონსულტაციის მეშვეობით სრულდება და რომელთა გამოც ისლამში კონსულტაცია დაფუძნდა, მუსლიმი სწავლულებისა და მწერლების მიერ, როგორც წესი, მეტად ზოგადი შემაჯამებელი სახით გამოიხატებოდა.”

როდესაც საქმე ეხება ადამიანებისთვის გზის გაკვალვას გადანყვეტილების ერთობლივად მიღებასთან დაკავშირებით, ყურანის მინიშნება ცხოველთა სამყაროზე მეტად მნიშვნელოვანი და კომპლექსურია. ყურანში ორი თავია, რომელიც ამ მინიშნების მნიშვნელობის ახსნის ხელშემწყობია. ესენია: ან-ნაჰლ (ფუტკრები) და აშ-შურა (გადანყვეტილების კოლექტიურად მიღება).

„ან-ნაჰლში“ „შურა“ კონცეპტუალიზებულია კომპლექსურ რეალობაში, რომელიც ხაზს უსვამს ჩანაფიქრის მთლიანობას. ეს კი საღვთო მტკიცებულებებითაა განცხადებული, რომლებიც გაჟღერებულია ნმინდა ტექსტებში და გამოხატულია ბუნებაში. ისინი ხელმძღვანელობენ ამ მტკიცებულებებს შორის რთული კავშირის განჭვრეტით, განცხადებული ღირებულებებით, ნაქადაგები მიზნებითა და უნივერსალური კანონებით, განათლების სხვადასხვა დონეზე გამოყენების თვალსაზრისითა და კოლექტიურად გადანყვეტილების მიღების მექანიზმების ჩამოყალიბების მიზნით. ეს მექანიზმები საშუალებას აძლევს ადამიანებს, ამავე მიზნისთვის ერთმანეთთან შერწყან და გამოიყენონ შესაძლებლობები, რესურსები და სულიერი ხედვები. სურას მონოდება ყველა

ცოცხალი არსების ერთიანობისკენ გამყარებულია იმით, თუ როგორ შთააგონა ღმერთმა ფუტკარს სახლის აგება გორაკებზე, ხეებსა და ადამიანების მიერ შექმნილ საცხოვრებელ ადგილებში. როგორც ვიცით, ფუტკრები მონოდებულნი არიან იკვებონ ხილით, ყვავილებისა და მცენარეებისგან [თაფლი] დაამზადონ და იმოქმედონ იმგვარად, როგორც ეს უფალმა შთააგონა (ალ-ნაჰლ: 68-69). მართლაც, თანამედროვე მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ეს გზები გულისხმობს გადანყვეტილების კოლექტიურად მიღებას, რისგანაც ადამიანებს ბევრი აქვთ სასწავლი და რაც ქვემოთ დაწვრილებითაა აღწერილი.

ამ-შურას სურაში ვხვდებით ვრცელ შესავალს იმის შესახებ, რომ ადამიანებს შორის უთანხმოება გარდაუვალია. ეს წარმოდგენილია არა როგორც კაცობრიობის დამლუპველი მდგომარეობა, არამედ უფრო მეტად როგორც მრავალფეროვნების ბუნებრივი შედეგი და აუცილებელი პირობა გადანყვეტილების კოლექტიურად მიღებისათვის. ამ გადმოსახედიდან, თავისთავად არა ჩვენს შორის არსებული განსხვავებებია საკვანძო მნიშვნელობის, არამედ აქცენტირება ჩვენს საერთო ინტერესებზე. სწორედ ამ საერთო ინტერესის და ჩანაფიქრის ერთიანობის სულისკვეთებით უნდა გამოვიყენოთ ჩვენ, ადამიანებმა, ჩვენი მრავალფეროვნება კეთილდღეობის მისაღწევად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სიტყვა “ჩვენი” ამ კონტექსტში მხოლოდ მუსლიმების მიმართ არ იხმარება, არამედ შეეხება ყველას, ვინც უფლის კარნახით მოქმედებს, ლოცულობს, „შურას“ მიხედვით წარმართავს საქმეებს და ქველმოქმედების სახით გასცემს უფლის ნაბოძარს სხვათა ცხოვრების გასაუმჯობესებ-

ლად. ეს მიესადაგება ყველას, ვისაც ხელენიფება ამ პრინციპებზე მეტ-ნაკლებად დათანხმება და ვინც ზნეობრივი ცხოვრებას ეწევა.

თუმცა, გამოცხადების სიტყვა საკმარისი არ არის „შურასა“ და ადამიანთა მიერ გადანყვეტილების კოლექტიურად მიღებას შორის ბრძნული კავშირის სრულად ასახსნელად. ამისთვის ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელშიც გადმოცემულია გაკვეთილები, რომელთა სწავლა შეუძლიათ ადამიანებს ფუტკრებისგან გადანყვეტილების კოლექტიურად მიღების თვალსაზრისით. უკანასკნელი კვლევების საფუძველზე, მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ ფუტკრები გადანყვეტილების ერთობლივად მიღების ყველაზე კარგ მეთოდს მისდევენ მთელ პლანეტაზე. „შურას“ პრაქტიკაში გამოყენების ვალდებულების სრულყოფილად გაგება მხოლოდ განცხადებული და არაგანცხადებული სიტყვის ინტეგრირებითაა შესაძლებელი.

ყურანი გვაუწყებს, რომ ფუტკრები ღვთისგან ზემოთაგონებულნი არიან, ეძიონ და აირჩიონ ის სახლი, რომელიც საუკეთესოდ შეეფერება მათი არსებობისთვის საჭირო კრიტერიუმებს. ფუტკრების გუნდში კონსენსუსის მისაღწევად ეს კრიტერიუმები გამოიყენება. ფუტკრები ახალი საცხოვრისის ასარჩევად „პირდაპირი დემოკრატიის“ ფორმას იყენებენ. ამ დროს ზოგიერთი ფუტკარი უშუალოდ მონაწილეობს პროცესში და არა წარმომადგენლების მეშვეობით. ღია კონკურენციის პირობებში თითოეული მონაწილე ფუტკარი საკუთარ შეთავაზებულ ალტერნატივას წარადგენს (ცეკვის საშუალებით). ამგვარი წარდგენა გვიჩვენებს ხარისხს, თუ როგორ შეესაბამე-

ბა ალტერნატივა ღვთისგან ზეშთაგონებულ კრიტიკიუმებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეული ფუტკარი ცდილობს, სხვები საკუთარი ალტერნატივის სისწორეში დაარწმუნოს. დამკვირვებლებმა ყოველი შეთავაზება დამოუკიდებლად უნდა შეაფასონ და გადანყვეტონ მისი უარყოფა ან მიღება. ეს არ არის ბრმად დამორჩილება, რადგანაც ყოველ ფუტკარს ამა თუ იმ ალტერნატივის მხარდაჭერა მხოლოდ დამოუკიდებელი მოძიების შემდეგ შეუძლია. რამდენადაც ზოგიერთი ალტერნატივა თანდათან უფრო მეტ თანხმობას იღებს, სხვებისგან მეტი მხარდაჭერაც აქვს. ნაკლებად პოპულარული ალტერნატივები თანდათანობით უკანა პლანზე ინაცვლებენ, რადგანაც ფუტკრები წყვეტენ მათ მხარდაჭერას. შესაბამისად, თითოეული ფუტკარი გვევლინება გადანყვეტილების მიღების პროცესის მაღალი მოქნილობის მქონე მონაწილედ, ვინაიდან, მისი ინტერესი, სხვების მსგავსად, არსებობის შენარჩუნებაა, ხოლო მისი ერთგულება მიმართულია საუკეთესო ალტერნატივის არჩევისაკენ. მეცნიერულმა კვლევებმა აამაღლა ჩვენი ცოდნა იმის შესახებ, თუ რატომ აწვდის ყურანი ხალხს ინფორმაციას ფუტკრების ცხოვრების შესახებ კოლექტიური გადანყვეტილების მიღების უნარების გასაუმჯობესებლად.

ისლამურ კვლევებში „შურან“ განხილულია, როგორც პრინციპი და გადანყვეტილების მიღების პროცესი მმართველობაში და ასევე ცხოვრების სხვა სფეროებში. „შურანს“ დემოკრატიასთან მიმართების შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მხარს არ უჭერს ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ ხმის მიცემის სისტემას. ამასთანავე, „შურანს“ მიხედვით, საქმეების წარ-

მართვის მითითება ხშირად ინტერპრეტირებულია, როგორც “კონსტიტუციური დემოკრატიის გარკვეულ ფორმა”. ქამალის აზრით, „შურა“ დემოკრატიის ისლამურ ექვივალენტს წარმოადგენს, თუმცა ამ უკანასკნელთან შედარებით ორიენტაციის თვალსაზრისით უფრო ინდივიდუალისტურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც „შურა“ უფრო საზოგადოებაზეა ორიენტირებული, განიხილავს რა კონსულტაციურ შეფასებებსა და გადაწყვეტილებებს. ეს შეფასებები და გადაწყვეტილებები მიღებულია იმ ადამიანებთან კონტაქტისა და კავშირის შედეგად, ვისაც რაიმე სათქმელი აქვს და აზრიც გამოსათქმელი წვლილის შესატანად”. არსებითად, „შურა“ “მოითხოვს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა და მთავრობის ლიდერებმა საზოგადოებრივი საქმიანობა საზოგადოების წევრებთან კონსულტაციების მეშვეობით წარმართონ” და არ გამოირიცხონ საკუთრივ ხელმძღვანელობის არჩევანი. თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც საჯარო საქმეებში ჩართვა სურს, უნდა ჰქონდეს ამის შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო პირობებით, მიუხედავად რელიგიური და სხვა სახის აღქმადი განსხვავებისა.

ამგვარად, ზოგიერთი კვლევა გვთავაზობს „შურას“ მსგავს გაგებას, როგორადაც ახლა ჩვენ მას ვაცნობიერებთ ფუტკრების შესწავლის გზით. დანარჩენები დიდ წარმატებას ვერ აღწევენ მაშინ, როდესაც გამონაკლისებს ადგენენ მისი სავალდებულო და დამაკავშირებელი ბუნების შესახებ, გამოყენების სფეროსა და ხელმძღვანელობის ყოვლისმომცველ ძალაუფლებასთან მიმართებით, რაც ბუნებაში არსებულ მოდელს არ შეესაბამება. „შურა“ სავალდებულო გახდა მინერილობების ზეგად-


მოვლენისთანავე ღვთის პასუხად სალათის შესრულებით (42:38) (ღვთის თაყვანისცემა და მის წინაშე პროსტრაცია ყოველდღიურად ხუთჯერ ლოცვის გზით). იბნ თამიჰა და მოჰამმად აბდუ „შურანს“ სავალდებულოდ მიიჩნევდნენ. ატ-ტაბარნი აზრიც კი გამოთქვა, რომ „შურან“ შარიათის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს (‘აზნ’იმ ალ-აჰქანმ) წარმოადგენდა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ისლამური მთავრობის არსისა და იდენტობისთვის.” არ-რაისუნი ამტკიცებს, რომ „შურან“ მართლაც სავალდებულოა ყველა საქმეში, გარდა პერსონალური საკითხებისა. თავად შუამავალ მუჰამადსაც (ს.ა.ს) კი „შურანს“ შესაბამისად მოქმედებისაკენ მოუწოდებდა ღმერთმა (ალი იმრან: 159). „შურას“ გამოყენების საშუალებით, შუამავალმა გვიჩვენა, რომ ლიდერის ძალაუფლება, თუნდაც ღვთის რჩეული შუამავალი იყოს იგი, უნდა შეიზღუდოს და რომ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გადანწყვეტილების მიღების პროცესში სავალდებულოა.

რაც დღეს „შურანს“ შესახებ ფუტკრების ცხოვრებიდან ვიცით, გვაძლევს აშკარა მინიშნებას სამთავრობო ინსტიტუციების ბუნების შესახებ, რომლებიც იმგვარად უნდა განვაავითაროთ, რომ საჯარო საქმეები მხოლოდ კოლექტიურად კი არ გადაიჭრას, არამედ მათი მოგვარება განხორციელდეს საჯარო ინტერესებისა და ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის შესახებ ადამიანის ცოდნის შესაბამისად. ფუტკრების კოლონიაში მზვერავი ფუტკრები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საკვებისა და თავშესაფრის ძიებისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს მუშა ფუტკრების ჯგუფი, რო-

მელთა უპირველესი ამოცანა სახეობის გადარჩენაა შესაბამისი ადგილის მიგნების, მისი შეფასებისა და დანარჩენებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით, რომელთაც ბუნებით იგივე ინსპირაცია, როლი ან მობილურობის უნარი არ აქვთ ბოძებული. ისინი ამას აკეთებენ მრავალი და კომპლექსური საწინააღმდეგო კრიტიკიუმის არსებობის მიუხედავად.

ტრადიციული იურისპრუდენციის მიღმა მყოფი საჯარო პოლიტიკა

საჯარო პოლიტიკის სქემა ისლამში



რაც შეეხება ადამიანთა სამყაროს, „შურა“ ყველაზე შესაფერისად განიმარტება, როგორც კოლექტიური გზით გადანყვეტილების მიღების სისტემა, სადაც საჯარო ლიდერები აყალიბებენ ცოდნის მფლობელ ჯგუფებს, რომელთაც უნდა ჩართონ ფართო საზოგადოება კომუნიკაციის მუდმივ პროცესში. ამის მიზანია მიმდინარე კომუნიკაციის პროცესში მეტი წვლილის და/ან მხარდაჭერის უზრუნველყოფა იმ პოლიტიკური ალტერნატივებისადმი, რომლებიც განიხილება. მაშასადამე, ეს პროცესი უფრო მჭიდროდ უკავშირდება საჯარო საქმეთა მართვას საექსპერტო საკონსულტაციო სისტემის მეშვეობით, რაც გარკვეულ მახასიათებლების მატარებელია. ესენია ხელმძღვანელობა, განაფულობა, სამოქალაქო ჩართულობა, გადანყვეტილებების მიღების კრიტერიუმები, მტკიცებულება, დარწმუნება, მოკვლევა, ხმის მიცემა/არჩევნები, ქვორუმი და კონსენსუსი. ამ სისტემაში ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანია, თუმცა არ არსებობს ჰეგემონობის მოთხოვნა. ხელმძღვანელობა, პირველ რიგში, პასუხისმგებელია იმ პროცესებისთვის ბიძგის მიცემაში, რომლებიც (1) საჭიროებენ პრობლემურ დეფინიციებთან დაკავშირებულ კონსულტაციას; (2) განსაზღვრავენ კრიტერიუმებს წარმატებული შედეგების მისაღწევად; (3) გვთავაზობენ შესაძლო პასუხებს; (4) არწმუნებენ საზოგადოებას იმის თაობაზე, თუ რა არის საუკეთესო და (5) იღებენ საუკეთესო კოლექტიურ გადანყვეტილებებს. ლიდერი ასევე ხელმძღვანელობს აპარატს, რომელიც ახორციელებს პოლიტიკურ გადანყვეტილებებს, და მონიტორინგს უწევს, განიხილავს და დამატებები შეაქვს მასში, თუ შედეგები დამაკმაყოფილე-

ბელი არ არის. დამატებით, ეს ფუნქციები შესაძლოა ექვემდებარებოდეს „შტრანს“, თუ ისინი კურსის არსებით ცვლილებას იწვევენ. შურაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები დროში შეზღუდული ჩანს, მხოლოდ იმ დრომდე გრძელდება, რაც დასახული მიზნით სარგებლის მისაღწევად საჭირო.

ინდივიდუალისტური და ხანდახან ჯგუფური, უმეტესწილად მამაკაცების მიერ მართული რელიგიური შემოქმედების საპირისპიროდ, ცოდნის საზოგადოება „წარმოადგენს პროფესიონალების ქსელს საყოველთაოდ აღიარებული გამოცდილებითა და კომპეტენციით კონკრეტულ სფეროში. მათ სიტყვა ეთქმით პოლიტიკისთან დაკავშირებულ ცოდნის სფეროსა თუ საკითხთან მიმართებით.“ ის შეიძლება შედგებოდეს...

სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენელი და სხვადასხვა განათლების მქონე პროფესიონალებისგან, ... [ვისაც] (1) ნორმატიულ და პრინციპებზე დამყარებულ რწმენათა მთელი რიგი აქვს გაზიარებული, ვინც იძლევა ღირებულებებზე დაფუძნებულ მტკიცებულებას საზოგადოების წევრების სოციალური საქმიანობისთვის. (2) გაზიარებულ მიზეზ-შედეგობრივი ხასიათის რწმენებს, რომლებიც წარმოიშობა პრაქტიკული გამოცდილების ანალიზისგან, რაც წარმართავს ან მონაწილეობს ამ სფეროს მთავარ პრობლემების გადაწყვეტაში და წარმოადგენს საფუძველს შესაძლო ქმედებებსა და სასურველ გამოსავალს შორის მრავალგვარი კავშირების ახსნისთვის; (3) ვა-

ლიდურობის გაზიარებული ცნებები. ეს არის ინტერსუბიექტური, შინაგანად განსაზღვრული კრიტერიუმი ცოდნის შეფასებისა და სანდოობის დასადგენად მათი კომპეტენციის სფეროში და (4) საერთო პოლიტიკური ინიციატივა. ეს არის საერთო პრაქტიკა, რომელიც ასოცირებულია მთელ რიგ პრობლემებთან, რომლებისკენაც მიმართულია მათი პროფესიული კომპეტენცია, სავარაუდოდ, იმ მრწამსზე დაყრდნობით, რომ ამის შედეგად, ადამიანების კეთილდღეობა გამყარდება.

როგორც ნაწილი ისლამური საფუძვლის მქონე შურას კონცეფციისა, ცოდნის საზოგადოება შეიძლება მოიცავდეს ექსპერტებისა და პროფესიონალების ჯგუფებს (აუცილებელი არ არის, რომ მეცნიერები იყვნენ), რომელთაც „მაკასიდ ალ-შარჩ‘ას“ საერთო რწმენა აკავშირებთ და ამ რწმენის თანმდევი შედეგები მათ აზროვნებასა და შემოთავაზებებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი მუდმივად ჩართულნი უნდა იყვნენ ინტელექტუალურ მოძრაობაში, წერილობითი ტექსტის ნიშნებსა თუ მტკიცებულებებს, ან რაც ბუნებაშია გამოხატული. ეს საჭიროებს ხელმძღვანელობას და დადასტურებულ მტკიცებულებას, რომ რომელიმე ერთის გაგებით შეუძლებელია სრულყოფილებასთან მიახლოება მეორის შეცნობისა და გამოკვლევის გარეშე. მათი საბოლოო მიზანი და გამონვევა არის იმის აღმოჩენა, თუ როგორ შეუძლია სამთავრობო გადანყვეტილებებს, საუკეთესოდ მიაგოს პატივი ღვთის განკარგულებას, რომ მოხდეს შეერთება იმასთან, რასთანაც საჭიროა და მოხ-

დეს იმ საზღვრების შემოთავაზება, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებას შეეძლება სამართლიანად განსაზღვროს საკითხები იმგვარად, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს. ამის ფონზე, გაურკვეველობა სრულიად ახალ განზომილებას იძენს ტრადიციულ იურისპრუდენციასთან შედარებით.

ჩვენი გაურკვეველობის მასშტაბები ჩვენივე გამოცდილების მიმართ შეზღუდული არ არის ტექსტებით, არამედ უფრო ჩვენიული გაგებით, თუ როგორ კომბინირდება ტექსტები ინფორმაციასთან, რომელსაც სამყაროში აღვიქვამთ ორივესთვის მნიშვნელობისა და ნამდვილობის მისანიჭებლად. გაურკვეველობის დონეები აუცილებლად იზრდება იმის ბუნების გაძლიერებით, თუ რა არის დაწერილი და რა - დანახული. ცოდნის საზოგადოებებისგან მოსალოდნელი არ უნდა იყოს მხოლოდ “სოციალური თუ ფიზიკური პროცესების აღწერა, მათი ურთიერთქმედებები სხვა პროცესებთან და მოქმედებათა სავარაუდო შედეგები, რაც საჭიროებს მნიშვნელოვან სამეცნიერო თუ ტექნიკურ განაფულობას.” თუმცა, გარდა ამისა, ასეთ საზოგადოებას ამ ცოდნის პირველად წყაროებთან, განსაკუთრებით კი ყურანთან ინტეგრირების უნარი და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

უდავოა, რომ ცოდნის საზოგადოების წევრების მიერ “სამყაროს აღქმა და ალტერნატიულ ქმედებათა ფორმულირება განპირობებულია რწმენის სისტემებით, მოქმედების კოდექსებითა და შემეცნებითი გზამკვლევებით,” მსგავსად ამისა, აუდა გამოთქვამს აზრს, რომ ფიკჰი შინაგანად კოგნიტურ ვარჯიშს წარმოადგენს და რომ იურისტებზე უცილობლად გავლენას ახდენს მათი

მსოფლმხედველობა მათეულ აღქმებს, მეთოდებსა და შეხედულებებზე. ამავ კონტექსტში, რამადანი გვეუბნება, რომ “კონტექსტის” წარდგენამ სწავლულთათვის შეიძლება გააფართოვოს ტრადიციონალისტ იურისტთა ინტელექტუალური საზღვრები, თუმცა მას არ აქვს საკმარისი კრიტიკული მიდგომა სწავლულთა მიერ “კონტექსტის” ცოდნასთან დაკავშირებით და არც იმ გამოწვევას ეხმიანება, რომ ისინი, ვინც დღევანდელ სამყაროში ყველაზე წინასული ცოდნის მფლობელები არიან, აუცილებლად არ არიან აღმსარებლობით მუსლიმები და ამგვარად, როგორც ასეთი, ვერ ითავისებენ ყურანიდან გამოვლენილ ფასეულობას. რადგან რელიგია, მაშინაც კი, როდესაც უტყვია, “შემეცნებით შეზღუდვებს ანებსებს რაციონალურობაზე”. ის მიილტვის უფრო ძლიერი როლის შესრულებისაკენ, ვიდრე ხალხის უმრავლესობა მზად არის, რომ მას დაუთმოს. ეს ყოველივე ორმაგ გამოწვევას გვთავაზობს, ვინაიდან ტრადიციონალისტი იურისტები და კონტექსტის შემსწავლელიც უგულვებელყოფენ მოცემული საკითხის იმგვარ განზომილებებს, რისი აღქმა ან დამუშავებაც მათ არ შეუძლიათ მიღებული მეთოდოლოგიების შესაბამისად. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, როგორ ეხმარება მაკასიდური მიდგომა ცოდნის საზოგადოებებს ამ გამოწვევის გამკლავებაში მაშინაც კი, როდესაც მისი წევრები ერთსა და იმავე რწმენას არ აღიარებენ.

ნებისმიერი ცოდნის საზოგადოების, ან მისი რომელიმე წევრის შეთავაზება „შურას“ ყურანულ სისტემაში, თვითგანდიდებას მოკლებული უნდა იყოს. ყურანი გვეუბნება: „და არ იარო დედამინაზე ამაყად, უეჭველად

შენ ვერ გახვრეტ დედამიწას და ვერ აწვდები მთებს სი-
მაღლით“ (ას-ისრა: 37). წინასწარ განსაზღვრული მიზნე-
ბის ან მაკასიდის გაზომვადობა დაგვეხმარება ამგვარი
ტენდენციების ალბათობის კონტროლში. დარწმუნების
ძალა, რომელიც საჭიროა ხელმძღვანელობისა და დაინ-
ტერესებული აქტორებისთვის ფართო საზოგადოებიდან
საბოლოო განმსაზღვრელი ფაქტორია, რომლებითაც გა-
დანწყვეტილებები მიიღება. ეს უზრუნველყოფს, რომ შუ-
რას გათავისება და მისი დამოკიდებულება ცოდნის სა-
ზოგადოებებზე არ ჩნდება ელიტური სტრუქტურის სა-
ხით, რომელიც საჯარო განხილვისა და ანგარიშვალდე-
ბულებისათვის დახურულია. ყოველმა საზოგადოებამ
უნდა წარმოადგინოს არგუმენტები, რაც თემის სხვა
წევრების, ასევე საზოგადოების წარმომადგენლების ინ-
ტერესებს გამოხატავს, რომელთაც შეუძლიათ მსგავ-
სადვე გააჟღერონ საკუთარი მოსაზრებანი და დამოკი-
დებულებები პროცესის განმავლობაში. თითოეულს კი
უფლება აქვს ხმა მისცეს ალტერნატიული კურსის სა-
სარგებლოდ ან წინააღმდეგ. ყველა სტრატეგიულმა გა-
დანწყვეტილებამ უნდა მიაღწიოს ქვორუმს ცოდნის სა-
ზოგადოების შიგნით საბოლოო არჩევნის გაკეთებამდე,
მსგავსად ფუტკრების გუნდის ქცევისა. ამ ქვორუმის
ზღვარი ერთობლივად უნდა განისაზღვროს მაშინ, რო-
დესაც უფრო დიდი კონსენსუსის მიღწევაა საჭირო
დროთა განმავლობაში, პოლიტიკის განხორციელების
კვალდაკვალ.

გადანწყვეტილების მიღების ეს სისტემა ეთანხმება
იმას, რომ ლიდერებსა და გადანწყვეტილების სხვა მიმღე-
ბებს არ შეუძლიათ მოიცვან უსასრულო რაოდენობის

საჯარო საკითხების მთელი კომპლექსურობა და ეს არც მოეთხოვებათ. გარდა იმ ფაქტისა, რომ ეს შესაძლებელი არ არის ნებისმიერი კვალიფიკაციის საჯარო საქმიანობისას, ის თავდაცვის საშუალებაა ავტორიტარიზმის წინააღმდეგაც. პასუხისმგებლობის გაზრდით, შურა აძლიერებს გადანყვეტილებებსა და შედეგებზე თანხმობას ამომრჩევლებში. გადანყვეტილება, რომელიც ერთობლივად განიხილება და მიიღება, წარმოშობს სოციალურად ინკლუზიურ და სიცოცხლისუნარიან საზოგადოებებს, რომლებიც უკეთესად არიან მზად ფაქტობრივი შედეგების მისაღებად. ამ გადმოსახედიდან, ლიდერი პასუხისმგებელია იმდენად, რამდენადაც გადანყვეტილების კოლექტიურად მიღების ეთიკური მხარის დაცვას უზრუნველყოფს. მათთვის, ვინც დაჯილდოებულია მოწყალებით, სამართლიანობით, სიბრძნითა და გონიერებით, უზრუნველყოფილთათვის ეს თვითანგარიშვალდებულებებისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი სისტემაა. ავტორიტარული პირობების შემთხვევაში ლიდერმა საკუთარი გადანყვეტილებების ტვირთი უნდა ზიდოს. მიუხედავად იმისა, ცუდია შედეგები თუ კარგი, ამ ლიდერებს „შურას“ ყურანისმიერი სავალდებულო მინერილობების დაუმორჩილებლობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. „შურას“ სარგებელი სცდება არსებული მთავრობის გადანყვეტილებებსა და პოლიტიკას, რათა სტიმული მისცეს სოციალურ ერთიანობას და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყოს ცოდნის მოპოვებას, სპეციალიზაციას, თანამშრომლობას და ა.შ. მსგავსად ამისა, არ-რახსუნი შურას ათ მიზანსა და სარგებელს გამოყოფს, რომლებშიც შედის: (1) მოქმედების კურსის

განსაზღვრა, რომელიც სწორია, ან დიდწილად სწორია; (2) სუბიექტური და ეგოისტური კაპრიზების ტირანი-ისგან გათავისუფლება; (3) თვითნებობისა და ტირანიის აღკვეთა; (4) თავმდაბლობის სწავლება; (5) ყველასთვის დამსახურების მიხედვით საზღაურის გაცემა; (6) თავისუფალი და ინიციატივიანი გარემოს შექმნა; (7) აზროვნებისა და დაგეგმვის უნარის განვითარება; (8) მზაობის გაზრდა მოქმედებისა და მხარდაჭერისთვის; (9) კეთილი ნებისა და ერთობის ხელშეწყობა; და (10) არასასურველი შედეგების გადატანის მზაობა. გარდა ამისა, ეს ყოველივე იძლევა მტკიცებულებებსა და რწმენას, რაც დაპირისპირებულია ვიწრო ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ ინტერესებთან ან სწორი გადანყვეტილების მიღებაზე ფოკუსირებისას გადაჭარბებულ ისტორიულ მონინებასთან.

დარწმუნება

შურას მიხედვით, მმართველობა და პოლიტიკა ვერ დაექვემდებარება უმთავრესად მუსლიმი მამაკაცების ჯგუფის მიერ ფათვას, ანუ ბრძანებულების გაცემას, ინდივიდზე რომ არაფერი ვთქვათ. დარწმუნება შურას პროცესის ბირთვს წარმოადგენს და ჭეშმარიტად ისლამის გზავნილია. ყურანი გამონწვევის წინაშე აყენებს ყველას, ვისაც ეჭვი ეპარება სურას (ყურანის თავი) მიხედვით მოქმედებაში (ალ-ბაყარა: 23) ან თავად ყურანში ასახული ჭეშმარიტების აღმოჩენაში (სად: 29) ასევე სამყაროში, როგორც ჭეშმარიტების გამოხატულებაში, (ალ-ბაყარა: 28- 29). ამ გზავნილის ძველ მიმღებებთან კომუნიკაციის დროს, ალ-ლაზალი განმარტავს: "... ყურანმა

გაითავისა მკაცრი, მომთმენი მიდგომა, შეაგროვა ყველა შესაძლო ინფორმაცია და გამოიყენა დარწმუნების ყველა მეთოდი, რათა მათ ჭეშმარიტება დაენახათ.” ეჭვი და უმეცრება უკვე აღარ განიხილება სასწაულებითა და ხილული ნიშნებით, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის მხოლოდ მინიმალურად უნდა დაეყრდნოს ბრძანების ინსტრუმენტს. მაშასადამე, ჩვენ ვადგენთ, რომ ყურანის მინერილობები გამართლებულია ღირებულებებით ადამიანის გონიერებისკენ მონოდებისას. ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებაში ეს მიდგომა მინიმუმ თეორიულად მაინც უნდა იყოს მზადყოფნით მიღებული.

ყურანი ცხად გზავნილს გვანვდის აზროვნების ძალის შესახებ. ფაქტობრივად, გონიერების მოხმობა ქცევის ერთადერთი გამართლებული წესი და ლეგიტიმური უფლებამოსილებაა. ყურანი გვეუბნება: “საკუთარი აზროვნებით მოქმედებენ, თუ უსამართლონი არიან?”



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაძის ქ. №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი რათა მკითხველს სრული ვერსიის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

ეს ნაშრომი ახალ სივრცეს ქმნის ისლამურ კვლევებში საჯარო პოლიტიკის სფეროს *მაკასიდის* (შარიათის უმაღლესი მიზნები) პერსპექტივიდან განხილვით. საჯარო პოლიტიკა დამოუკიდებელი დისციპლინაა როგორც სამართლის, ისე პოლიტიკის მიმართ. საჯარო პოლიტიკა ისლამში აქ წარმოდგენილია ხარისხობრივად განსხვავებულ ნამოწებად როგორც ფიკჰისგან (ისლამური სამართალმცოდნეობა), ისე *სიია სა შარი ახასგან* (შარიათზე ორიენტირებული პოლიტიკა). წიგნი ეხება არაერთ საკვანძო მნიშვნელობის საკითხს, რომლებშიც შედის მეთოდოლოგია, მმართველობა, ადამიანის უფლებები, ეთიკა, პოლიტიკური ძალაუფლება, რეფორმა და განახლება. ის გამოკვეთს, თუ რატომ არის მაკასიდური მიდგომა აუცილებელი ისლამში საჯარო პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკისთვის, როგორ შეუძლია მას გადწყვიტოს მთელი მუსლიმური ისტორიის მანძილზე არსებული მმართველობასთან დაკავშირებული დილემები, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ უბიძგებს ის ისლამის პირველად წყაროებში არსებული მდიდარი ცოდნის ხელახალი კონცეპტუალიზაციისკენ, რათა წარმოადგინოს საჯარო პოლიტიკა ისლამში პოლიტიკის კვლევების უმთავრეს მიმართულებად.

ბასმა ი. აბდელგაფარი არის მაკასიდის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი და ასოცირებული პროფესორი. ის არის პოლიტიკის, მმართველობისა და მუსლიმთა საქმეების საერთაშორისო კონსულტანტი, იყო კატარის ფონდის ისლამის საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის დამფუძნებელი ხელმძღვანელი, ეკავა სხვადასხვა პოზიციები კანადის ფედერალურ მთავრობაში, კითხულობდა ლექციებს ისლამური მმართველობის შესახებ კანადაში, აშშ-ში, სინგაპურში, მალაიზიაში, თურქეთში, ეგვიპტესა და სამხრეთ აფრიკაში.



International Institute
of Islamic Thought

ISBN 978-9941-33-281-4



9 789941 332814